თანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 26 ოქტომბერი, 2021 წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში „ბსუ"), წარმოდგენილი რექტორის, ასოც. პროფესორის **მერაბ ხალვაშის** მიერ და მეორე მხრივ **შპს „ნიუ-ლაინ"** ს/კ 445488703, (შემდეგში **„ნიუ-ლაინ"**), წარმოდგენილი დირექტორის **მიხეილ ბათაძის** მიერ (შემდეგში „მხარეები"), თანხმდებიან პროფესიული განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შემდეგზე:

მხარეთა უფლება–მოვალეობები:

1. **შპს „ნიუ-ლაინ"** უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„საფინანსო სერვისები"** (პროგრამა - წინამდებარე მემორანდუმის **დანართი 1**) პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის გავლას, მათი პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცების მიზნით:

   ა) მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით შეთანხმებული პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის ფარგლებში (5 პროფესიული სტუდენტი).

   გ) წინამდებარე მემორანდუმში აღნიშნული პროგრამის **მოდულებში** (წინამდებარე მემორანდუმის დანართი 2, დანართი 3,);

2. **მხარეები:**

   ა) დარგობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბების მიზნით, მონაწილეობას მიიღებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და ა. შ.);

   ბ) უზრუნველყოფენ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ნორმებს, როგორც უნივერსიტეტის, ასევე **შპს „ნიუ-ლაინ"-ის** ბაზაზე;

   გ) დაგეგმავენ და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო ტრენინგებს, საინფორმაციო შეხვედ-რებს და სხვა;

   დ) მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ასახავენ პროფესიულ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების და დადასტურებების უზრუნველსაყოფად საჭირო კოორდინაციის საკითხებს.

3. წინამდებარე მემორანდუმის დანართები შეადგენენ ამ მემორანდუმისა და შემდეგში მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მემორანდუმის მოქმედების ვადა და მხარეთა რეკვიზიტები:

წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერისთანავე და ძალაშია მის გაუქმებამდე.

,,ბსუ"

(მისამართი:

ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35/რუსთაველის N32)

მერაბ ხალვაში

რექტორი, ასოცირებული პროფესორი

შპს „ნიუ-ლაინ"

მისამართი: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ #41

დირექტორი:

მიხეილ ბასთამე

ბსუ-ს და შპს "ნიუ-ლაინს" შორის 2021 წლის
26 ოქტომბერს გაფორმებული მემორანდუმის
დანართი №1
დამტკიცებულია
ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 25 ოქტომბრის

№ 01-02/168 ბრძანებით

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

,,საფინანსო სერვისები"

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32, 6010

ტელეფონი/ფაქსი: +995(422) 27–17–80

ვებ–გვერდი: bsu.edu.ge

ელ-ფოსტა: info@bsu.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი:

გიორგი აბუსელიძე - ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოც. პროფესორი.

თანახელმძღვანელი:

ჯილდა აბაშიძე - ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრანტი

ბათუმი, 2019

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე -** საფინანსო სერვისები / Finance services

2. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროფესიული პროგრამა „საფინანსო სერვისები“** - 04117-3

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე -** საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა“, კოდი 0412, აღმწერი - „შეისწავლის საფინანსო საქმიანობისა და მომსახურების დაგეგმვის, ხელმძღვანელობის, ორგანიზებისა და კონტროლის საკითხებს. მოიცავს ორგანიზაციების, ინსტიტუტებისა და ინდივიდების საფინანსო რესურსების კონტროლსა და მონიტორინგს, ასევე კორპორაციებისა და ინდივიდების ფინანსური მომსახურების საკითხებს.“

4. **მიზანი:** მოამზადოს კვალიფიციური საფინანსო სერვისების პერსონალი, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტიპის საფინანსო მომსახურების გაწევასა და მომხმარებლის საფინანსო სერვისებთან დაკავშირებულ ინფორმირებას. ასევე, საფინანსო სერვისების პროგრამის დანერგვა-განხორციელების ხელშეწყობა.

5. **დაშვების წინაპირობები:** საბაზო განათლება, არანაკლებ 17 წელი

6. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:** საფინანსო სერვისებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების მოლარედ, მათ შორის - ბილეთების გაყიდვების სალაროებში; ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებში მოლარისა და ოპერატორის პოზიციაზე, ასევე ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტებისა და ბუკმეკერების პოზიციებზე.

ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 64, 64.1, 64.19, 64.92.0.
დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 4312

7. სტრუქტურა და მოდულები:

საფინანსო სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 6 ზოგადი მოდულს - ჯამური 16 კრედიტის მოცულობით და 13 პროფესიულ მოდულს 35 კრედიტის მოცულობით.

საფინანსო სერვისებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **51 კრედიტი**

პროგრამის მოცულობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 51 კრედიტი; არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 66 კრედიტი;

პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა: ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 8 სასწავლო თვე, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 11 სასწავლო თვე

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4	უცხოური ენა (ინგლისური ენა)	4
5	მეწარმეობა 1	2
6	სამოქალაქო განათლება	2
სულ:		16

პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა - საფინანსო სერვისები	1
2	ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები	2
3	სერვის პლუსი	1,5
4	სალაროს ოპერაციების განხორციელება	3,5
5	ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება	4
6	ანგარიშის გახსნა-დახურვა	4
7	სწრაფი ფულადი გზავნილები	1
8	უნაღდო ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციები	4
9	სადეპოზიტო მომსახურება	4
10	საკრედიტო პროდუქტები	2
11	დისტანციური საბანკო მომსახურება	1.5
12	სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი	3
13	საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები	3,5
სულ:		35

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება სავაჭრო ობიექტებში
2. აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება საბანკო დაწესებულებებში
3. განახორციელოს სალარო და საბანკო ოპერაციები
4. შესთავაზოს კლიენტებს საბანკო პროდუქტები
5. ეფექტურად მოემსახუროს კლიენტებს.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავებს ,,საფინანსო სერვისები"-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

პროფესიული პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა)*, რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. მოდული: ქართული ენა A2

ქართული ენა A2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სხვა მოდულების დაშვების წინაპირობაა. მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები მიღწეულად ჩაეთვლება პირს, რომელმაც ერთიანი პროფესიული ტესტირება გაიარა ქართულ ენაზე ან რომლის ჩარიცხვის პროცედურები ერთიანი პროფესიული ტესტირების გარეშე, განხორციელდა ქართულ ენაზე.

,,მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლება მოიპოვეს ,,პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება #152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით"

14. დანართები:

დანართი 1 - სასწავლო გეგმა

დანართი 2 - სასწავლო გეგმა (არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის)

დანართი 3. ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ

დანართი 4. 0020103 რაოდენობრივი წიგნიერება

დანართი 5. 0410004 მეწარმეობა 1

დანართი 6. 0230102 უცხოური ენა (ინგლისური ენა)

დანართი 7. 0030104 - ინტერპერსონალური კომუნიკაცია

დანართი 8. 0110001 - ქართული ენა A2

დანართი 9. 0610003 - ინფორმაციული წიგნიერება 1

დანართი 10. 0110004 - სამოქალაქო განათლება

დანართი11. 0411701 ანგარიშის გახსნა-დახურვა

დანართი 12. 0411702 - დისტანციური საბანკო მომსახურება

დანართი 13. 0411703 - ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები

დანართი 14. 0411704 - გაცნობითი პრაქტიკა - საფინანსო სერვისები

დანართი 15. 0411705 - ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება

დანართი 16. 0411706 - სადეპოზიტო მომსახურება

დანართი 17. 0411707 - საკრედიტო პროდუქტები

დანართი 18. 0411708 - სალაროს ოპერაციების განხორციელება

დანართი 19. 0411709 - სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი.

დანართი 20. 0411710 - საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები

დანართი 21. 0411711 - სერვის პლუსი

დანართი 22. 0411712 - სწრაფი ფულადი გზავნილები

დანართი 23. 0411713 - უნაღდო ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციები

დანართი 24. - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი

ბსუ-ს და შპს "ნიუ-ლაინს" შორის 2021 წლის 26 ოქტომბერს

გაფორმებული მემორანდუმის

დანართი №2

(დამტკიცებული ბსუ-ს რექტორის 25.10.2019 წ. N01-02/168 ბრძანებით,
ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 12 აპრილის N01-02/57 ბრძანებით)

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: საფინანსო სერვისები

მოდულის სტატუსი: პროფესიული მოდული

მოდულის სახელწოდება: გაცნობითი პრაქტიკა - საფინანსო სერვისები

ბათუმი, 2021

მოდული

1. ზოგადი ინფორმაცია

სარეგისტრაციო ნომერი	0411704
სახელწოდება	გაცნობითი პრაქტიკა - საფინანსო სერვისები
გამოქვეყნების/ცვლილების თარიღი	07.08.2017/ 11.03.2021
მოცულობა კრედიტებში	1
მოდულზე დაშვების წინაპირობა	-
მოდულის აღწერა	მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: პროფესიაში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპებისა და ტექნოლოგიების აღწერა, საკუთარი შესაძლებლობების შეფასება, პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნების დასახვა და განხორციელება.

2. სტანდარტული ჩანაწერები

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები	კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები	შეფასების მიმართულება
1. მომავალი პროფესიული პროფილის და საკუთარი კარიერული შესაძლებლობების გაცნობა	1. პროფესიული სტანდარტის/პროფესიული სტანდარტების შესაბამისად აღწერს მომავალი პროფესიისათვის განსაზღვრულ ამოცანებსა და მოვალეობებს; 2. სწორად აღწერს დასაქმების შესაძლებლობებსა და სამუშაო ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გავრცელების ძირითად არხებს (საძიებო ვებ-გვერდები/შრომის ბირჟები). 3. რეალისტურად აღწერს საშუალო და გრძელვადიან მიზნებს კარიერული ზრდის თვალსაზრისით; **4. არგუმენტირებულად** აღწერს საკუთარ **კარიერულ შესაძლებლობებს**; 5. ადეკვატურად აღწერს საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებს მომავალი პროფესიის კონტექსტში; 6. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პრინციპების გათვალისწინებით აღწერს საკუთარ პროფესიაში პროფესიული განვითარების მინიმუმ სამ შესაძლებლობას.	**არგუმენტირებულობა:** აღწერა ეფუძნება სხვადასხვა წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციას: შრომის ბაზრის კვლევა, ინტერნეტპორტალები, მედიასაშუალებები და სხვა წყაროები. **კარიერული შესაძლებლობები:** პოზიციები, რომელთა დაკავებაც არის შესაძლებელი მოცემული კვალიფიკაციით, თვითდასაქმებისა და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს.	პრაქტიკული დავალება
2. ტიპურ სამუშაო გარემოს გაცნობა	1. პრაქტიკის ობიექტის მაგალითზე აღწერს ორგანიზაციულ მოწყობას, სტრუქტურას და ორგანიზაციის საქმიანობის **მარეგულირებელ დოკუმენტებს;** 2. პრაქტიკის ობიექტის მაგალითზე აღწერს **სამუშაო გარემოს მოწყობის პრინციპებს;** 3. პრაქტიკის ობიექტის მაგალითზე აღწერს სამუშაოზე მიღების პირობებსა და პროცედურას.	**მარეგულირებელ დოკუმენტებს** – შინაგანაწესი/ეთიკის კოდექსი/ საქმისწარმოების წესი/ინსტრუქცია/ დებულება/წესდება **სამუშაო გარემოს მოწყობის პრინციპები:** ტექნოლოგიები, ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესები; სამუშაო დღის	პრაქტიკული დავალება

		ხანგრძლივობა.	

3. დამხმარე ჩანაწერები

3.1. სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის

სწავლის შედეგი	თემატიკა	სწავლება-სწავლის მეთოდი/მეთოდები	შეფასების მეთოდი/მეთოდები	მტკიცებულება/მტკიცებულებები სტუდენტის პორტფოლიოსთვის
1	• პროფესიული მოვალეობები და ამოცანები; პოზიციები და დასაქმების შესაძლებლობები; • თვითშეფასების მეთოდები პროფესიული განვითარების გზები და მეთოდები.	ლექცია - სწავლის შედეგის შესაბამისი თემატიკის ახსნა, საერთაშორისო/ადგილობრივი კლასიფიკატორის დემონსტრირება პრაქტიკული მეცადინეობა - პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ განისაზღვრება შესასრულებელი პრაქტიკული დავალება, კერძოდ, სტუდენტი ახდენს საკუთარი თავის შეფასებას პროფესიული მოვალეობებიდან გამომდინარე ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას, საშინაო დავალება - პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სტუდენტი ადგენს პიროვნული და პროფესიული განვითარების	შესრულებული პრაქტიკული დავალების შეფასება. სტუდენტის მიერ შესრულებული პიროვნული და პროფესიული განვითარების გეგმის შეფასება. პროფესიული მოვალეობებისა და დასაქმების შესახებ სტუდენტის ცოდნა მოწმდება პრაქტიკული დავალების შეფასებისა სახით.	**გამოკითხვა - ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება** ა) ზეპირი: პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ შევსებული ჩანაწერი, ვიდეოჩანაწერი, აუდიოჩანაწერი; ბ) წერილობითი: სტუდენტის მიერ წერილობით შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას; გ) ელექტრონულად ჩატარებული გამოკითხვა: ელექტრონულად შესრულებული ნამუშევარი, რომელიც ადასტურებს ცოდნას, უნარს ან/და კომპეტენციას. **პრაქტიკული დავალება - პროდუქტი, როგორც მტკიცებულება** სტუდენტის მიერ

		გეგმას.		შესრულებული პროექტი, ვიდეოჩანაწერი, აუდიოჩანაწერი, არტეფაქტი, ესე, ამოხსნილი კაზუსი, ელექტრონული ფაილი, მატერიალური დოკუმენტი, პრეზენტაცია და სხვა.
2	• ორგანიზაციული სტრუქტურა და სამუშაო გარემო (შინაგანაწესი); • სამუშაო სივრცის ორგანიზაციის ძირითადი ტექნოლოგიები; • პროფესიული სამუშაო გარემოსადმი წაყენებული შრომის, ჰიგიენის და უსაფრთხოების ნორმები; • პერსონალის სამსახურში მიღების პროცედურა.	კონსულტაცია; პრაქტიკის ობიექტზე სასწავლო ექსკურსია, რომლის შესავალ ნაწილში პროფესიული განათლების მასწავლებლის ან პარტნიორი ორგანიზაციის მხრიდან გამოყოფილი პირის/პრაქტიკის ზედამხედველის მიერ ხორციელდება ინსტრუქტაჟი შრომის, ჰიგიენის და უსაფრთხოების ნორმებისა და საწარმოს შინაგანაწესის ძირითადი მოთხოვნების (ქცევის) შესახებ. სასწავლო ექსკურსიის განმავლობაში სტუდნეტები ეცნობიან ორგანიზაციის მარეგულირებელ დოკუმენტებს, პროფესიული განათლებისა და პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ წინასწარ შეთანხმებული გეგმის შესაბამისად.	შესრულებული პრაქტიკული დავალების შეფასება. პროფესიული განათლების მასწავლებელი აფასებს სტუდენტის მიერ მოდულის ფარგლებში შესრულებულ წერილობით დავალებებს (ჩანაწერებს დღიურში განხორციელებული აქტივობების შესახებ, შედეგის დასრულებისას - ანგარიშს პრაქტიკის შესახებ (ნაბეჭდი სახით)).	**პრაქტიკული დავალება - პროდუქტი, როგორც მტკიცებულება** სტუდენტის მიერ შესრულებული პროექტი, ვიდეოჩანაწერი, აუდიოჩანაწერი, არტეფაქტი, ესე, ამოხსნილი კაზუსი, ელექტრონული ფაილი, მატერიალური დოკუმენტი და სხვა.

3.2. საათების განაწილების სქემა

სწავლის შედეგები	საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით			
	საკონტაქტო	დამოუკიდებელი	შეფასება	სულ
1	6	2	1	25
2	12	3	1	
სულ	18	5	2	

3.3. სასწავლო რესურსი

- **პროფესიული სტანდარტი http://vet.ge/;**
- http://www.hr.ge/vacancies/vakansia-cv-dasaqmeba;
- http://myprofession.gov.ge/;
- www.job.ge.

3.4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის

საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

მოდულის განმახორციელებელი პირი/პირები:

№	სახელი და გვარი	საკონტაქტო ინფორმაცია
1	გიორგი ქათამაძე	მობილური: 593 47 00 07 ელ. ფოსტა: Katamadze.g@gmail.com

ბსუ-ს და შპს "ნიუ-ლაინს" შორის 2021 წლის 26 ოქტომბერს

გაფორმებული მემორანდუმის

დანართი №3

(დამტკიცებული ბსუ-ს რექტორის 25.10.2019 წ. N01-02/168 ბრძანებით,
ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 12 აპრილის N01-02/57 ბრძანებით)

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: საფინანსო სერვისები

მოდულის სტატუსი: პროფესიული მოდული

მოდულის სახელწოდება: საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები

ბათუმი, 2021

მოდული

1. ზოგადი ინფორმაცია

სარეგისტრაციო ნომერი	0411710
სახელწოდება	საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები
გამოქვეყნების/ცვლილების თარიღი	07.08.2017/ 11.03.2021
მოცულობა კრედიტებში	3,5
მოდულზე დაშვების წინაპირობა	ყველა პროფესიული მოდული
მოდულის აღწერა	მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: ჩარჩო დოკუმენტით მიღწეული სწავლის შედეგების გამოყენებით, ზედამხედველობის ქვეშ პროფესიული ამოცანების შესრულება და მომხმარებელთან დადგენილი სტანდარტებით კომუნიკაცია. შესრულებული სამუშაოს ანგარიშგება.

2. სტანდარტული ჩანაწერები

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები	კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები	შეფასების მიმართულება
1. კლიენტის/მომხმარებლის მომსახურება სავაჭრო ობიექტებში	1. დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოფს სამუშაო გარემოს; 1. ოპტიმალურად იყენებს კონკრეტულ სამუშაო გარემოში შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელ წესებს; 2. ზუსტად იცავს კომპანიის შინაგანაწესს; 3. ინსტრუქციისა და დადგენილი წესების დაცვით ასრულებს **დავალებებს**; 4. იცავს კომპანიის კლიენტთან მომსახურების სტანდარტებსა და სერვის პლუსის მოთხოვნებს; 5. იცავს **კლიენტთან ურთიერთობისას კომუნიკაციის თავისებურებებს**; 6. იცავს კოლეგებთან ურთიერთობისას პროფესიული ეთიკისა და საქმიანი ეტიკეტის ნორმებს.	**კლიენტთან ურთიერთობისას კომუნიკაციის თავისებურები:** შემდგომი დახმარების, დამატებითი მომსახურების შეთავაზება. **დავალებები:** ინსტრუქტორის მიერ შერჩეული პროფესიული მოვალეობები/ამოცანები.	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით
2. კლიენტის/მომხმარებლის საბანკო სერვისებით მომსახურება გაყიდვების ტექნიკის მეთოდების გამოყენებით	1. ორგანიზაციის დადგენილი წესის შესაბამისად უზრუნველყოფს სამუშაო გარემოს; 2. ოპტიმალურად იყენებს კონკრეტულ სამუშაო გარემოში შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელ წესებს; 3. ზუსტად იცავს კომპანიის შინაგანაწესს; 4. ინსტრუქციისა და დადგენილი წესების დაცვით ასრულებს **დავალებებს**; 5. ზუსტად იცავს კომპანიის კლიენტთან მომსახურების სტანდარტებსა და სერვის პლუსის მოთხოვნებს; 6. **კომუნიკაციის თავისებურებების დაცვით ურთიერთობს კლიენტთან**;	**კლიენტთან ურთიერთობისას კომუნიკაციის თავისებურები:** შემდგომი დახმარების, დამატებითი მომსახურების (სატელეფონო, ინტერნეტ მომსახურება) შეთავაზება. **დავალებები:** ინსტრუქტორის მიერ შერჩეული პროფესიული მოვალეობები/ამოცანები.	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით

	7. კოლეგებთან ურთიერთობს პროფესიული ეთიკისა და საქმიანი ეტიკეტის ნორმების დაცვით; 8. სწორად იცავს სატელეფონო ეტიკეტს.		
3. შესრულებული სამუშაოს ანგარიშგება	1. ადგენს ანგარიშის შედგენის ინსტრუქციის შეასბამისად; 2. ეფექტურად ახდენს შესრულებული სამუშაოს წარდგენას.	სრულადაა ასახული შესრულების კრიტერიუმებში	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით

3. დამხმარე ჩანაწერები

3.1. სწავლებისა და შეფასების ორგანიზებისთვის

სწავლის შედეგი	თემატიკა	სწავლება-სწავლის მეთოდი/მეთოდები	შეფასების მეთოდი/მეთოდები	მტკიცებულება/მტკიცებულებები სტუდენტის პორტფოლიოსთვის
1	• პრაქტიკის ობიექტის თანამშრომლების გაცნობა; • ინსტრუქტაჟი: ✓ პრაქტიკის ობიექტის, (სავაჭრო ობიექტის) სტრუქტურის, შინაგანაწესის შესახებ; ✓ პრაქტიკის ვადების, სამუშაო გრაფიკის, სამუშაო გეგმის შესახებ; ✓ შეფასების კრიტერიუმების შესახებ; ✓ სამუშაო ადგილის ორგანიზების, უსაფრთხოების წესებისა და ეთიკის ნორმების შესახებ.	ინსტრუქტაჟი - სავაჭრო ობიექტში სხვადასხვა დავალების შესრულებისათვის ზუსტი ინფორმაციისა და სამოქმედო გეგმის მიწოდება ინსტრუქტორის მიერ.	პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვების პროცესი; შესრულებული პრაქტიკული დავალების შესრულების ხარისხის შეფასება.	**პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება** პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი, აუდიოჩანაწერი, ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს სტუდენტის შესრულების პროცესს. **პრაქტიკული დავალება - პროდუქტი, როგორც მტკიცებულება**

				სტუდენტის მიერ შესრულებული ანგარიში საწარმოო პრაქტიკის შესახებ, ელექტრონული ფაილი, მატერიალური დოკუმენტი და სხვა.
2	• პრაქტიკის ობიექტის თანამშრომლების გაცნობა; • ინსტრუქტაჟი: ✓ პრაქტიკის ობიექტის კომპანიის (ბანკი/არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებილება) სტრუქტურის, შინაგანაწესის შესახებ; ✓ პრაქტიკის ვადებისა და კონკრეტული გრაფიკის, სამუშაო გეგმის შესახებ; ✓ შეფასების კრიტერიუმების შესახებ. ✓ სამუშაო ადგილის ორგანიზების, უსაფრთხოების წესებისა და ეთიკის ნორმების შესახებ;	ინსტრუქტაჟი - სხვადასხვა დავალების შესრულებისათვის ზუსტი ინფორმაციისა და სამოქმედო გეგმის მიწოდება ინსტრუქტორის მიერ.	პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვების პროცესი; პროფესიული განათლების მასწავლებელი აფასებს სტუდენტის მიერ მოდულის ფარგლებში შესრულებულ წერილობით დავალებებს (ჩანაწერებს დღიურში განხორციელებული აქტივობების შესახებ, შედეგის დასრულებისას - ანგარიშს პრაქტიკის შესახებ (ნაბეჭდი სახით)).	**პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება** პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი, აუდიოჩანაწერი, ქრონომეტრაჟით გადაღებული ფოტოები, რომლებიც ასახავს სტუდენტის შესრულების პროცესს. **პრაქტიკული დავალება - პროდუქტი, როგორც მტკიცებულება** სტუდენტის მიერ შესრულებული ანგარიში საწარმოო პრაქტიკის შესახებ, ელექტრონული ფაილი, მატერიალური დოკუმენტი და სხვა.
	• ინსტრუქტაჟი შესრულებული სამუშაოს დოკუმენტირების შესახებ; • ანგარიში; ანგარიშის შედგენის ინსტრუქცია; • ანგარიშის პრეზენტაცია.	ინსტრუქტაჟი - ანგარიშის შედგენისა და პრაქტიკის შეფასების შესახებ.	შესრულებული პრაქტიკული დავალების/ანგარიშის შესრულების ხარისხის შეფასება.	**პრაქტიკული დავალება დაკვირვებით - შესრულების მტკიცებულება** პროფესიული მასწავლებლის/დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წერილობითი ჩანაწერი ან აუდიოჩანაწერი ან

				ვიდეოჩანაწერი **პრაქტიკული დავალება - პროდუქტი, როგორც მტკიცებულება** სტუდენტის მიერ შესრულებული ანგარიში საწარმოო პრაქტკის შესახებ, ელექტრონული ფაილი, მატერიალური დოკუმენტი და სხვა.

3.2. საათების განაწილების სქემა

სწავლის შედეგები	საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით			
	საკონტაქტო	დამოუკიდებელი	შეფასება	სულ
1	37	0	1	87,5
2	37	0	1	
3	1	9,5	1	
სულ	75	9,5	3	

3.3. სასწავლო რესურსი

სასწავლო რესურსს არ საჭიროებს ან განისაზღვრება საჭიროებისამებრ, შესასრულებელი დავალების სპეცილფიკისა და სირთულის შესაბამისად, საწარმოო პრაქტიკის ინსტრუქტორის მიერ.

3.4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის

საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

მოდულის განმახორციელებელი პირი/პირები:

№	სახელი და გვარი	საკონტაქტო ინფორმაცია	
1	თინათინ ბერიძე	მობილური: 599 13 11 00	ელ. ფოსტა: Tinatin_beridze@yahoo.com
2	თათია სეფერთელაძე	მობილური: 557 72 50 50	ელ. ფოსტა: